

ინდივიდუალური აუდიტორი ლევან ბაკურაძე (SARAS-A-117605)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოლიმპ ჯორჯიას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ოლიმპ ჯორჯიას“ (შემდეგში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღებში დამთავრებული წლების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ინდივიდუალური აუდიტორი ლევან ბაკურაძე (SARAS-A-117605)

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ

ინდივიდუალური აუდიტორი ლევან ბაკურაძე (SARAS-A-117605)

აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ლევან ბაკურაძე (SARAS-A-117605)

31 მარტი 2022 წელი

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგება

შპს „ოლიმპ ჯორჯია“

2020 წლის 31 დეკემბერი

შესავალი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	8-14

შპს „ოლიმპ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ჩანაწერების სისწორეზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ოლიმპ ჯგუფის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 25 მარტს.

დირექტორი:
ადელინა მამედოვა


მთავარი ბუღალტერი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31-12-20	31-12-2019	01-01-2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	7,655,327	3,680,912	3,613,575
არამატერიალური აქტივები		19,016	19,016	22,372
		7,674,343	3,699,928	3,635,947
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4	6,008,271	7,611,505	3,722,562
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	208,305	369,834	16,941
გადახდილი ავანსები		401,119	262,038	390
სხვა მოთხოვნები		2,207,091	974,804	657,472
ფული და ფულის ექვივალენტები	6	14,976,867	2,640,970	343,575
		23,801,653	11,859,151	4,740,940
სულ აქტივები		31,475,996	15,559,079	8,376,887
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	7	6,197,414	6,197,414	5,661,214
		11,958,727	293,619	(894,767)
		18,156,141	6,491,033	4,766,447
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	4,355,326	3,811,807	3,557,793
		4,355,326	3,811,807	3,557,793
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	9	8,547,550	5,047,200	0
სხვა ვალდებულებები	10	416,979	209,039	52,647
		8,964,529	5,256,239	52,647
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,475,996	15,559,079	8,376,887

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 მარტს:

ადელინა მამედოვა
 დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		23,070,825	4,545,868
გაყიდული პროდუქციის			
თვითღირებულება		(9,954,022)	(2,288,190)
საერთო მოგება		13,116,803	2,257,678
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	11	(908,028)	(789,411)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(192)	(308)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		12,208,583	1,467,959
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		6,961	32,963
საპროცენტო ხარჯი		(176,633)	(154,590)
კურსთაშორის სხვაობა		(373,802)	(157,946)
მოგება, (ზარალი) მოგების გადასახადით		11,665,109	1,188,386
დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება, (ზარალი)		11,665,109	1,188,386
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი მოგება, (ზარალი)		11,665,109	1,188,386
საანგარიშგებო წლისთვის		11,665,109	1,188,386

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 მარტს:

ადელინა მამედოვა
დირექტორი



მთავარი ბუღალტერი




კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

	საწყისდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	5,661,214	(894,767)	4,766,447
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	536,200		
წლის სრული (მოგება)/ზარალი	-	1,188,386	1,188,386
2019 წლის 31 დეკემბერი	6,197,414	293,619	6,491,033
	-		
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	11,665,109	11,665,109
2020 წლის 31 დეკემბერი	6,197,414	11,958,728	18,156,142

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 მარტს:

ადელინა მამედოვა
დირექტორი



მთავარი ბუღალტერი




ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ლარი	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	12,215,544	1,500,922
მოგება, (ზარალი) წლის განმავლობაში		
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	-	15,373
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:		
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	161,529	(352,893)
ცვლილება სხვა მოთხოვნებში	(1,232,287)	(317,332)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(139,081)	(261,648)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1,603,234	(3,888,943)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3,500,350	5,047,200
ცვლილება სხვა ვალდებულებებში	207,940	156,392
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	16,317,229	1,899,071
გადახდილი პროცენტი	(176,633)	(154,590)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	16,140,596	1,744,481
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა, დაუმთავრებელი მშენებლობის	(3,974,415)	(79,354)
და არამატერიალური აქტივების შეძენა		
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,974,415)	(79,354)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების ზრდა	543,519	254,014
კაპიტალში შენატანი	-	536,200
საკუროსო სხვაობის ზარალი	(373,802)	(157,946)
წმინდა ფული ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	169,717	632,268
წმინდა ფულის ზრდა, (კლება)	12,335,898	2,297,395
ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	2,640,970	343,575
ფული საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	14,976,868	2,640,970

ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 25 მარტს:

ადელინა მამედოვა
დირექტორი



მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ოლიმპ ჯორჯია“ დაარსდა 2017 წლის 3 ოქტომბერს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 405231011. კომპანიის ფუნქციონირების სფეროს წარმოადგენს: არქიტექტურული საქმიანობები, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სამშენებლო პროექტების შემუშავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი თბივალა, იოსებ კეჭაყმაძის III გასასვლელი, N 32.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N20.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 13 თანამშრომელი (2019: 10 , 2018:12)

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით თუ ქვემოთმოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგანაც მენეჯმენტს სჯერა, რომ ეს არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისათვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

	ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლარი	ევრო	ფუნტი
31 დეკემბერი 2020	3.2766	4.0233	4.4529
31 დეკემბერი 2019	2.8677	3.2095	3.7593
2020 წლის საშუალო კურსი	3.1097	3.5519	4.5464
2019 წლის საშუალო კურსი	2.8192	3.1553	3.5964

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია დადებითი სალდოს ან დეფიციტის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ყველა პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რაც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად და ხელმძღვანელობის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობები	- 25 - 40 წელი
მანქანები და მოწყობილობები	- 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	- 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 15 წელი

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასრგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 20-25 წლის გაანგარიშებით.

აქტივის გაუფასურება

არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია, ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და ინვესტიციების გაუფასურების გადახედვა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

მიმდინარე ე	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცი ლება	31 – 60 დღე ვადაგადაცი ილება	61-90 დღე ვადაგადაცი ილება	91-180 დღე ვადაგადაცილებ ა	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
დარეზ. პროც.	1%	2%	5%	10%	100%

იჯარა

საოპერაციო იჯარა - კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საოპერაციო იჯარა - კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანია საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს იმავე გრაფიკს.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასსა შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაანგარიშება “პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში” („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მისი სამართლიანი ღირებულებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი განისაზღვრება, როგორც ამორტიზირებულ ღირებულებას დაკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და სამართალდარღვევა არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც ივარაუდება, რომ ვერ მიიღება, ხდება პირდაპირი ჩამოწერა მოგება-ზარალში.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ფულადი ნაშთისგან და საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებისგან.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შემოსავლები და ხარჯები

მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის/მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებს ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის რომელშიც გამოცხადდა.

3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი შედგება მიწისგან (3,599,842 ლარი 2019 წლის ბოლოს(96.7%), ხოლო 2020 წლის ბოლოს შეადგენს 7,439,679 ლარს(97.2%))

4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს შენობის დანახარჯებს, რომელიც შენდებოდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N20 ში. მშენებლობა ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს 2022 წლის პირველ ნახევარში.

5. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები მოიცავს წინასწარ გადახდილ დღგ-ს, რომელიც წარმოიშვება მყიდველის მიერ თანხის ავანსად გადახდის შემდეგ.

6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ფული ხელზე	0	0	0
საბანკო ანგარიშები	14,976,867	2,640,970	343,575
	14,976,867	2,640,970	343,575

კომპანია ყველა ფინანსურ ოპერაციას აწარმოებს ბანკის მეშვეობით.

7. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლის მიერ შემოტანილი თანხებისგან. კრების ოქმის საფუძველზე 2019 წელს კაპიტალი გაიზარდა 2-ჯერ, 428,960 და 107,240 ლარით. 2020 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ მომხდარა.

7.1 დივიდენდები

2020 წელს არ არის გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები. 2019 წელს არ იყო გაცემული დივიდენდები.

8. სესხები

ლარი	მიმდინარე			გრძელვადიანი		
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
	0	0	0	4,355,326	3,811,807	3,557,793

კომპანიას სასესხო ვალდებულებას წარმოადგენს დამფუძნებლისგან მიღებული სესხი.

სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება საბალანსო ღირებულებას.

9. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება მხოლოდ მყიდველებისგან ავანსად მიღებული თანხებისგან.

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებების ძირითად ნაწილს შეადგენს დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი. 2019 წლის ბოლოს გადასახდელი პროცენტის ოდენობა შეადგენდა 207,802 ლარს, ხოლო 2020 წლის ბოლოს - 414,065 ლარს.

11. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელფასი	359,934	274,723
კომუნალური ხარჯები	173,573	2,108
მარკეტინგის მომსახურება	157,601	236,293
საგადასახადო შემოწმება, დარიცხვა	87,732	-
იჯარის ხარჯები	30,429	85,160
წინა-სამშენებლო სამუშაოები	25,145	74,572
საკონსულტაციო ხარჯები	24,617	24,502
სხვა ხარჯები	18,295	43,787
საპენსიო ხარჯი	8,976	6,900
სატრანსპორტო მომსახურება	5,450	751
კომუნიკაციის ხარჯები	4,702	7,759
საწვავის ხარჯები	3,711	3,275
საკანცელარიო ხარჯები	3,481	5,066
კომპენსაცია	1,726	1,293
დაზღვევის ხარჯები	1,622	608
დაცვის მომსახურება	712	712
საბანკო ხარჯები	292	722
ავტომობილის ხარჯები	30	1,520
ცვეთის ხარჯები	-	15,373
სპეც. ზონის ხარჯები	-	4,287
	<u>908,028</u>	<u>789,411</u>